დანართი N1

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2032 წ.

2018-2025 წლის სტარტეგიული განვითარების გეგმის ანგარიში

გასული ათწლეული დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისთვის იყო ინსტიტუციური სტაბილიზაციის, ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და ხარისხის კულტურის განვითარების პერიოდი. ანგარიში ასახავს კოლეჯის მიერ განვლილ ძირითად ეტაპებს, მიღწევებსა და გამოწვევებს, რაც საფუძვლად დაედო მომდევნო სტრატეგიულ ციკლს.

სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მიღწეული შედეგები:

- დაწესებულებამ წარმატებით გაიარა როგორც პირველადი ავტორიზაციის, ისე შემდგომი არაგეგმიური, რეავტორიზაციისა თუ გეგმიური მონიტორინგის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის (EQE) ექსპერტთა რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული, რამაც დაადასტურა დაწესებულების საოპერაციო მზაობა.
- არა მხოლოდ დავნერგეთ საექთნო პროგრამა, არამედ აქტიურად მივიღეთ მონაწილეობა მის ტრანსფორმაციასა და ხელახალ ფორმირებაში. შეიცვალა და დაიხვეწა სასწავლო მოდულები, რომელთა შექმნაშიც კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა კურპუსი აქტიურად იყო ჩართული. პროგრამა გახდა მორგებული როგორც თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის.
- კოლეჯი ახერხებს უზრუნველყოს და ცდილობს განაახლოს სასწავლო-სიმულაციური რივრცეები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების უსაფრთხო გარემოში ათვისება. ბაზა აღიარებულია ექსპერტებისა და დამსაქმებლების მიერ.

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

- გაფორმებულია, გრძელვადიანი სტრატეგიული მემორანდუმები წამყვან მრავალპროფილურ კლინიკებთან. კოლეჯმა მოიპოვა მაღალი ნდობა ჯანდაცვის სექტორში, რის შედეგადაც კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა დაიკავა წამყვანი, მათ შორის მენეჯერული პოზიციები (მთავარი ექთნები, განყოფილების მთავრი ექთნები და ა.შ).

არსებული გამოწვევები

მიუხედავად წარმატებებისა, 10-წლიანმა საოპერაციო პერიოდმა გამოავლინა შემდეგი სისტემური გამოწვევები:

1. **პროფესიულ სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი და სხვა ბარიერი ლოკალურ ბაზარზე:** თუ, საქმიანობის პირველ წლებში კოლეჯის მაღალი ხარისხი და ინფრასტრუქტურა, განაპირობებდა საშუალო საბაზროზე მაღალ სწავლის საფასურს, რაც ბარიერი იყო დაინტერესებული აპლიკანტებისთვის და შესაბამისად აისახებოდა გადინების მაჩვენებლზე, სახელმწიფო დაფინანსების პროფესიულ განათლებაში შემოტანის შემდეგ, გამოწვევად დარჩა პროფესიული განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება და სტრეოტიპული აღქმები, რაც საწყის ეტაპზე ვლინდება სათანადო შედეგების მიღწევის საშუალებებისა და დატვირთვისადმი არასწორ მოლოდინებში, ხოლო შემდგომ ეტაპზე პროფესიული სტუდენტის მიერ სათანადო შედეგის მისაღწევად საჭირო ინტელექტუალური და დროითი რესურსისა და შრომის ბაზარზე პრაქტიკაში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას შორის შეუსაბამობით. მიუხედავად სახელმწიფოსთან აქტიური თანამშრომლობისა, ამ მიდგომებისა და აღქმების შესაცვლელად, აღნიშნული კვლავ მოითხოვს მუშაობას კერძო და საჯარო რესურსების გამოყენებითა და ურთიერთანამშრომობით.
2. **ინტერნაციონალიზაციის საჭიროება:** ბოლო წლებში იკვეთა მკაფიო მოთხოვნა ინგლისურენოვან პროგრამაზე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის, რაც განაპირობა ერთი მხრივ დარგის განვითარების დაჩქარებამ და მეორე მხრივ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებემა, განსაკუთრებით საქართველოში სერვისის მიმწოდებელი კლინიკების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვებამ, ადგილობრივი ჯანდაცვის სიტემის მიერ სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებამ, სახელმწიფოს მიერ პროფესიის რეგულირების ჩარჩოში მოქცევისა და სალიცენზიო პირობების დაწესების მოლოდინმა, კონკურენტუნარიების მაჩვნებლის ზრიდ მოტივით, საერთაშორისო ლიცენზიების მოპოვებისა და შემდგო საქართველოში აღიარების სურვილმა.
3. **საკანონმდებლო დინამიკა:** პროფესიული განათლების რეფორმამ შეცვალა ავტორიზაციის სტანდარტები, პროფესიული მასწავლებლის სისტემაში შემოსვლისა და კარიერის განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომას, რაც მოითხოვს დაწესებულების მართვის მოდელის მოდიფიკაციას და მასწავლებელთა პედაგოგიურ გადამზადებასა და ამ პროცესების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების მობილიზებასაც.

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

შეჯამება

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 10-წლიანი სტრატეგიული გეგმა მიჩნეული უნდა იქნას წარმატებით შესრულებულად. კოლეჯმა მიაღწია ინსტიტუციურ სიმწიფეს და მოიპოვა ხარისხიანი კადრების “სამჭედლოს” რეპუტაცია, რაც გვაძლევს ლეგიტიმურ საფუძველს, გადავიდეთ განვითარების ახალ ეტაპზე და დავნერგოთ ინგლისურენოვანი, მომზადება-გადამზადების სასერთიფიკატო თუ საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდებისათვის მოსამზადებელი არაფორმალური განათლების პროგრამები, ადგილობრივ თუ გლობალურ ბაზრებზე შემდგომი პოზიციონირებისათვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2032 წ.

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა კოლეჯის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტია , რომელიც შექმნილია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის შესაბამისად დაწესებულების პერსონალის , პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების, ასევე პარტნიორების ჩართულობით , ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით . შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს დაწესებულების მისიას , როლს და ადგილს პროფესიულ განათლებაში , გრძელვადიან ხედვას , ღირებულებებს , სტარტეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, მათ გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს . კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლითაც ყველა დაინტერესებულ მხარისათვის გაზიარებულია დაწესებულების სამომავლო გეგმები და განვითარების პერსპექტივები .

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს დაწესებულების დაფუძნებიდან , ბოლო 10 წლის განმავლობაში დაგროვილი ინსტიტუციური გამოცდილების , მოპოვებული მაღალი რეპუტაციისა და პარტნიორული ურთიერთობების ლოგიკურ გაგრძელებას .

ახალი სტრატეგია ეფუძნება კოლეჯის 2018-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და დოკუმენტს, თუმცა რეაგირებს განვითარების ახალ ეტაპზე , რომელიც დაწესებულებამ ავტორიზაციისა და მონიტორინგის პროცესების გავლის შედეგად მიაღწია.

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

დოკუმენტი სრულად პასუხობს პროფესიული განათლების სფეროში შეცვლილ, დახვეწილ და გაუმჯობესებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის სრულ თავსებადობას ეროვნულ საავტორიზაციო სტანდარტებთან. სტრატეგიის ძირითადი ფოკუსი მიმართულია განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაციაზე, რომელთა შემუშავებაშიც დაწესებულება თავად იყო აქტიურად ჩართული.

სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია განვითარებაზე , არსებული მიღწევების გაუმჯობესებაზე, სიახლეების შემოტანასა და დანერგვაზე, სასწავლო პროცესის მაქსიმალურ დახვეწასა და საზოგადოებაში პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე.

მისია, ხედვა, ღირებულებები

1. მისია

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისიაა მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საექთნო საქმის მიმართულებით. დაწესებულება ამზადებს კოლეჯის კონკურენტუნარიან, ეთიკურ და მაღალკვალიფიციურ საექთნო კადრებს, რომლებიც პასუხობენ გლობალური და ეროვნული ჯანდაცვის სექტორის გამოწვევებს. კოლეჯი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის რეალიზებასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

2. ხედვა

კოლეჯი წარმოადგენს ეროვნულ დონეზე აღიარებულ, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი კულტურით, სასწავლო-სიმულაციური, და არა მხოლოდ, გარემოს უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით წამყვან პარტნიორ კლინიკებში.

3. ღირებულებები

- აკადემიური კეთილსინდისიერება და ხარისხი
- სტუდენტზე ორიენტირებულობა და თანასწორობა
- პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

- ინოვაციურობა და უწყვეტი განვითარება
- ინტერნაციონალიზაცია და მულტიკულტურალიზმი

SWOT ანალიზი (დაგეგმვის ინსტრუმენტი)

S – ძლიერი მხარეები • დასაქმების ბაზარზე მოპოვებული მაღალი ნდობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. • თანამედროვე სტანდარტების მატერიალურ-ტექნიკური და სიმულაციური ბაზა, უსაფრთხო სასწავლო გარემო. • მაღალკვალიფიციური, ლოიალური და მოტივირებული ადამიანური რესურსი. • ინსტიტუციური ზრუნვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. • წამყვან სამედიცინო კლინიკებთან ჩამოყალიბებული მყარი პარტნიორობა. • საერთაშორისო თანამშრომლობის არსებული ინსტიტუციური გამოცდილება.	W – სუსტი მხარეები • დამსაქმებლებში პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა • საგრანტო პროგრამების ნაკლებობა • მარკეტინგული შესაძლებლობები მეტი სტუდენტის/მსმენელის მოსაზიდად. • დასაქმებული პროფესიული სტუდენტების გადინების მაღალი მაჩვენებელი • პროფესიული მასწავლებელობის მსურველთა სიმცირე. • მაღალი სწავლის საფასური საბაზრო ფასთან შედარებით. • ადგილობრივი პროფესიული სტუდენტების ფინანსური მოწყვლადობა • პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილის პედაგოგიურ და ბილინგვურ (ინგლისურენოვან) კომპეტენციებში გადამზადების საჭიროება.
O – შესაძლებლობები • ქვეყნის შიგნით მაღალკვალიფიციური, მულტიპროფილური სერვისის მიმწოდებელ, სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებულ, დაწესებულებებთან იმგვარი თანამშრომლობა, რომელიც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერასა და მათ შემდგომ გარანტირებულ დასაქმების შესაძლებლობას; • ციფრული და დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების მეთოდების ინტეგრირების მიზნით, შესაბამის ადმინისტრაცულ ორგანოებთან თანამშრომლობა, იმგვარი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, რომელიც ერთი მხრივ გაზრდის პროგრამის ნაწილზე მაინც რეგიონული ხელმისაწვდომობას, მეორე მხრივ შესაძლებელს გახდის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და საბოლოოდ პროგრამას გახდის	T – საფრთხეები • ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი • შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილება • საკანონმდებლო ცვლილებები. • პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმების და ახალი საავტორიზაციო მოთხოვნების ფორსირებული, სწრაფი ტემპი. • მიგრაცია შრომის ბაზარზე - კვალიფიციური/ბილინგვური კადრების დეფიციტი ან გადინება. • გლობალური/ქვეყნის მასშტაბით ფორსმაჟორული სიტუაციები (საგანგებო მდგომარეობა), რაც აფერხებს საოპერაციო პროცესებს.

რენტაბელურსა და ხარჯთეფექტურს, როგორც პროფესიული სტუდენტის, ასევე დონორი ორგანიზაციებისთვის. • სტუდენტური სერვისების, პროფორიენტაციისა და კლასგარეშე აქტივობების (სპორტი, კულტურა) დახვეწა. • პერსონალის საჭიროებების სისტემური კვლევა და მიზნობრივი კვალიფიკაციის ამაღლება. • ინგლისურენოვანი პროგრამის დანერგვით უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და ფინანსური მდგრადობის გაზრდა. • ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების სერტიცირებულ პროგრამებზე მაღალი მოთხოვნა (მაგ. მოვლა, პირველადი დახმარება, სპეციალიზებული საექთნო მიმართულებები). • საქართველოდან და რეგიონის ქვეყნებიდან საერთაშორისო საექთნო ლიცენზიის (მაგ. NCLEX, სხვა ევროპული ქვეყნების სალიცენზიო გამოცდები) აღების მსურველთა მზარდი რაოდენობა, რაც ქმნის არაფორმალური მოსამზადებელი კურსების ბაზარს.	• მკაცრი ან ცვალებადი რეგულაციები არაფორმალური განათლებისა და მოკლევადიანი პროგრამების აღიარება/სერტიცირების პროცესში.

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1. კოლეჯის კონკურენტუნარიანობის ზრდა, პროფორიენტაცია და პოპულარიზაცია

სტრატეგიული მიზანი 2. კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება და საკანონმდებლო შესაბამისობა

სტრატეგიული მიზანი 4. კლინიკური პარტნიორობის გაფართოება და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების მხარდაჭერა

სტრატეგიული მიზანი 5. ინტერნაციონალიზაცია და პროფესიული პროგრამების განვითარება

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

სტრატეგიული მიზანი 1. კოლეჯის კონკურენტუნარიანობის ზრდა, პროფორიენტაცია და პოპულარიზაცია

ამოცანა	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
1.1. პროფორიენტაციის საინფორმაციო კამპანიების წარმოება საზოგადოებაში საექთნო პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლად	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიული განათლებისა და თავად პროფესიის შესახებ ღონიესძიებების გეგმა; •ყოველწლიურად ყოველ მიღებაზე ჩატარებულია მინიმუმ 1 ღონისძიება; • კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომართვიანობა გაზრდილია 50%-ით. • ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; • პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეულია ინდივიდუალური კონსულტაციები; • კოლეჯი მონაწლეობს დასაქმების ფორუმებში (მინიმუმ ერთხელ წელიწადში); • ყოველწლიურად კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით კურსდამთავრებულთათვის განხორციელებულია მინიმუმ 1 ღონისძიება.	დირექტორი დირექტორის თანაშწემწე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი
1.2. საერთაშორისო საექთნო სალიცენზიო გამოცდების მოსამზადებელი არაფორმალური კურსების პოპულარიზაცია ადგილობრივ და რეგიონულ ბაზარზე, უცხოურ ენებზე საგანმანათლებლო პროდუქტების ექსპორტის მიზნით.	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიული განათლებისა და თავად პროფესიის შესახებ ღონიესძიებების გეგმა; • რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობის ყოველწლიური მაჩვენებელი; • სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარების ანალიზი, არანაკლებ 80%; • არაფორმალურ კურსებზე რეგისტრირებული და სასერტიფიკატო პროგრამის წარმატებით დამსრულებელი მსმენელების რაოდენობა (წლიურად არანაკლებ 25 მსმენელი)	დირექტორი დირექტორის თანაშემწე სასწავლო დეპარტამენტი იურისტი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

სტრატეგიული მიზანი 2. კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსის განვითარება

ამოცანა	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
2.1. კოლეჯის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად	X	X	X	X	X	X	X	• კოლეჯის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას; • კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია/გაუმჯობესებულია პროფესიული პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოთხოვნების შესაბამისად; • კოლეჯის პროფესიული პროგრამები სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილია 100 %-ით.	დირექტორი დირექტორის თანაშემწე; ბუღალტერი საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი ბიბლიოთეკარი.
2.2. კოლეჯის საინფორმაციო რესურსების განვითარება,	X	X	X	X	X	X	X	• კოლეჯის ციფრული მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირება (ორენოვანი ვებ-გვერდი, მიზნობრივი რეკლამა). • ვებ გვერდის ანალიზი; •კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას; • საინფორმაციო ტექნოლოგიების და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებისთვის განახლებულია კომპიუტერული ტექნიკა; • გაუმჯობესებულია საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; • დანერგილია საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე ტექნოლოგიები; • პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე.	დირექტორი დირექტორის თანაშემწე საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი

2.3 კოლეჯის ფინანსური რესურსების განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• უზრუნველყოფილია კოლეჯის ფინანსური მდგრადობა; • ყოველწლიურად გაზრდილია კოლეჯის/პროგრამული ბიუჯეტი; • კოლეჯი მონაწილეობს საგრანტო პროექტებში/პროგრამებში, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას და გაუმჯობესებას; • უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობა	დირექტორი; დირექტორის თანაშემწე; ბუღალტერი;
2.4. კოლეჯში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	• დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება; • უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად იდენტიფიცირებულია საჭიროებები და მომხდარია შესაბამისი რეაგირება;	დირექტორი; უსაფრთხოების სპეციალისტი პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი იურისტი

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება და საკანონმდებლო შესაბამისობა

ამოცანა	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
3.1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვა ხარისხის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე- განახორციელე- შეაფასე- განავითარე	X	X	X	X	X	X	X	• ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა და შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია; • საჭიროების შემთხვევაში ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულია განვითარების გეგმა.	დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოლეჯის მთელი ადმინისტრაციული პერსონალი

3.2. კოლეჯის საქმიანობის თვითშეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით	X	X	X	X	X	X	X	• ჩატარებულია კვლევები (პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.); • ჩატარებული კვლევების შედეგები გაანალიზებულია; • ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით; • ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულია განვითარების გეგმა; • კოლეჯში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებების დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია კოლეჯის მიერ.	დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოლეჯის მთელი ადმინისტრაციული პერსონალი
3.3. კოლეჯის ძირითადი პროცესების შემოწმება/მონიტორინგი	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგები მიღწეულია პროფესიული სტუდენტების მიერ; • გაზრდილია კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები; • ჩატარებულია გამოკითხვები (პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის); • გაანალიზებულია კვლევის შედეგები და შემუშვებულია გაუმჯობესების რეკომენდაციები.	დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი
3.4 კოლეჯის დამხმარე პროცესების შემოწმება/მონიტორინგი	X	X	X	X	X	X	X	• ჩატარებულია გამოკითხვები (პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის); • კვლევის შედეგები გაანალიზებულია და შემუშვებულია გაუმჯობესების რეკომენდაციები.	დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოლეჯის მთელი ადმინისტრაციული პერსონალი

დამტკიცებულია
შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით

სტრატეგიული მიზანი 4. კლინიკური პარტნიორობის გაფართოება და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების მხარდაჭერა

ამოცანა	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
4.1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და მათი მხარდაჭერა	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიულ სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 5 საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება; • საჭიროებისამებრ კონსულტაციები უზრუნველყოფილია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის; • პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მიეწოდებათ განმავითარებელი რეკომენდაციები თითოეული მოდულის ფარგლებში; • პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა (ვალიდაცია/ ვერიფიკაცია) გამართულია.	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი იურისტი პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებლები
4.2 პროფესიულ სტუდენტების/მსმენელების ექსტრაკურიკულური, ინიციატივების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა	X	X	X	X	X	X	X	• წელიწადში მინიმუმ ერთხელ ჩატარებულია ექსტრაკურიკულური აქტივობები პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის (ექსკურსიები, კონფერენციები, მასტერკლასები, კონკურსები და სხვა).	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი დირექტორის თანაშემწე პროფესიული განათლების მასწავლებლები
4.3 პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და პროფორიენტაციის მიმართულების განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 10 ვიზიტი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფორიენტაციის მიზნით; • უზრუნველყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსურველთა (აპლიკანტთა) ინფორმირება და მათი მხარდაჭერა.	დირექტორი დირექტორის თანაშემწე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი

4.4. კოლეჯის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• ჩატარებულია შეხვედრები უცხოელ პარტნიორებთან; • გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება/მემორანდუმი საერთაშორისო დონის პარტნიორებთან/მრავალპროფილურ სამედიცინო კლინიკებთან; • კოლეჯი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში.	დირექტორი დირექტორის თანაშემწე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი

სტრატეგიული მიზანი 5. ინტერნაციონალიზაცია და პროფესიული პროგრამების განვითარება

ამოცანა	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
5.1. შრომის ბაზრისა და დაწესებულების რესურსების შესაბამისი უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება	X	X	X	X	X	X	X	• შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების უფლება მოპოვებულია; • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამებისათვის გაზრდილია პროფესიულ სტუდენტთა კვოტა.	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; იურისტი დირექტორის თანაშემწე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი
5.2. ქართველი და უცხოელი პროფესიული სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება, შერჩევისთვის საერთაშორისო არხებისა და სააგენტოების გამოყენება.	X	X	X	X	X	X	X	• მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტუდენტთა ჩარიცხვის კრიტერიუმები; • ხელშეკრულება უცხოურ სააგენტოებთან/აგენტებთან;	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იურისტი დირექტორის თანაშემწე

5.3. საერთაშორისო მობილობისა და გაცვლითი პროექტების ინიცირება.	X	X	X	X	X	X	X	• საერთაშორისო პარტნიორებთან პროგრამის თავსებადობის დასკვნები (2 მაინც) ან კონკრეტული მოდულის/კომპონენტის გავლის შესახებ ხელშეკრულებები;	დირექტორი დირექტორის თანაშემწე
5.4. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული მომზადება /გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა		X	X	X	X	X	X	• შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნიდან გამომდინარე შემუშავებულია და განხორციელების უფლება მოპოვებულია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამისთვის.	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; იურისტი დირექტორის თანაშემწე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი
5.5. კოლეჯის მიერ პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით კოლეჯში გაუმჯობესებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და პროცესის მიმდინარეობის ანგარიშგების პროცედურები; • პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე.	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; იურისტი პროგრამის ხელმძღვანელი
5.6. პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება		X	X	X	X	X	X	• გაანალიზებულია პროფესიული პროგრამების სწავლის მეთოდები და შემუშვებულია გაუმჯობესების რეკომენდაციები; • გაანალიზებულია პროფესიული პროგრამების სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების მეთოდები და შემუშავებულია გაუმჯობესების რეკომენდაციები; • გადამუშავებულია სასწავლო და კალენდარული გეგმები.	დირექტორი სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი